რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 1„ საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели“

## გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკ ნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

ქ. ქუთაისი
ქალაქის თეატრი
ქართული დრამატ. საზოგადოების დასის
რეპერტუარი
მესამე წარმოდგენა
კვირას, 10 ნოემბერს
ჟან-ბოდრი
კომედია 4 მოქმ. თარ. ფრანგულიდან
ამ პიესებში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, ჩხეიძისა, ივანიძისა. ბ-ნი: აბაშიძე, უიფაანი, მარჯანიშვილი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ბალანჩივაძე, თუთბერიძე, ნემო, გიორგაძე, თამაზიშვილი და სხვანი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი სწორედ 8 საათზე
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი—კ. შათირიშვილი.
(10—ფ.—7)

ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობის „შუამავალის“ დროებითი გამგეობა ამით აცხადებს, რომ 10 გიორგობისთვეს, დილის 11 საათზე, დანიშნულია ქართულის თეატრის დარბაზში ამხანაგობის წევრთა საერთო საგანგებო კრება ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობის მოსახსენებლად და გამგეობისა და კონტროლის წევრთა ამოსარჩევად.

კენჭის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ, ვისაც შემოტანილი აქვს სრულად წილის ფული.
(4—ფ.—3)

## კანონი და მთავრობის განკარგულება

სასამართლო დაწესებულება. დანიშნა სტატსკი სოვეტნიკი ოპტოვცოვი ტფილისის სამოსამართლო პალატას წევრად.

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).
7 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება მთის ინსტიტუტს დაერქვას: „მთის ინსტიტუტი იმპერატრიცა ეკატერინე II“.

**ხარკოვი.** სადგურ ბირიუჩზედ ნაშუალამევს, 6 ნოემბერს, ბალაშოვის რკინის გზაზე სახალხო მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს. მოკვდა ერთი კონდუქტორი, მეორე მძიმედ დაიჭრა. ზოგიერთი მგზავრი მსუბუქად დაშავდა. მეისრეს უყურადღებობით სახალხო მატარებელი დაეჯახა ლიანდაგზე მდგომ საქონლის მატარებელს.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა. მორიგ კითხვად დაყენებულია კატელანის წინადადება დრეიფუსის საქმეზე. სამხედრო მინისტრი კითხულობს განჩინებას, რომელსაც ერთხმად დაუდგენია სამსჯავრო დრეიფუსის საქმეზედ და პალატას აგონებს, რომ ბაასი იმის თაობაზედ არის, რაც სასამართლოს განჩინებით უკვე აღსრულებაში შევიდაო და ამიტომ არავის აქვს უფლება ამ საგანს შეეხოსო. მინისტრი ურჩევს პალატას, რომ ხელ-ახლად არ აწეწონ ეს საქმე, რადგან შესაძლებელია ცუდი შედეგი მოჰყვესო. კატელანს შეაქვს პალატაში დასაბუთებული თხოვნა მორიგ კითხვებზე გადასვლაზედ. ბილიო თხოულობს უბრალო გადასვლას მორიგ კითხვებზედ. პალატაში დიდი აღელვებაა. ბოლოს კატელანი თავისს წინადადებას გამოსცვლის, რითაც მთავრობა დაკმაყოფილებულია.

კატელანის წინადადება, რომელიც პალატამ უკენჭოდ მიიღო, შემდეგის შინაარსისაა: „პალატა, აღჭურვილი პატრიოტობით და ნდობით მთავრობისადმი, რომელიც, თუ საჭირო იქმნება, სხვა საბუთებსაც გამონახავს მოღალატე დრეიფუსის საქმეში, შეუდგება მორიგ საქმეთა განხილვას. შემდეგ პალატამ უკამათოდ დაამტკიცა ხარჯი, რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის და იმპერატრიცას პატივსაცემლად პ რიზში.

**ფილიპოპოლი.** სტამბოლიდგან მოსულ ცნობებიდგან სჩანს, რომ იქ კვლავ დააპატიმრეს მრავალი მოსლემანი. სომეხთათვის დაარსებულმა საგანგებო სასამართლომ ხასკიოის სომეხთა ეპისკოპოსს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. საკასაციო პალატამ დაამტკიცა განაჩენი, რომლითაც ბიტლისის ეპისკოპოსს სიკვდილი გადუწყვიტეს.

**ჯიბუთი.** ალის-აბაბიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ჯერ ისევ ხელ-შეკრულობის დამტკიცებამდე 200 იტალიელი ტყვე განთავისუფლებული იქმნება 10 ნოემბერს, იტალიის დედოფლის დაბადების დღეს.

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე საზღვარგარედ წაბრძანდა.

**პარიჟი.** პალატა. საზოგადო განხილვა ბიუჯეტისა უკვე გათავდა.

**სტამბოლი.** სომეხთა საზოგადო კრებამ ერთხმად აირჩია ეპისკოპოსად არმანიანი.

**სტამბოლი.** სულთანის ბრძანებით გაუქმდა მოქმედება საგანგებო სასამართლოსი, რომელიც დანიშნული იყო 26 აგვისტოს მომხდარ უწესოებათა გასარჩევად. ყველა საქმე საკასაციო სასამართლოში იქნება გადაცემული.

გამოცხადდა პირველი ხელის მოსაწერი ფურცელი საუკეთესო შეიარაღებისათვის. ხელი მოაწერეს ყველა მინისტრებმა, დიდმა ვეზირმა და შეიჰ-ულ-ისლამმა.

**ლონდონი.** „Times“-ი იუწყება, რომ, ხმა დადის, ლი-ჰუნ-ჩანგი სამსახურიდგან გამოდის, რადგანაც ჩინეთის მთავრობისა მადლიერი არ არისო.

## ახალი ამბავი

*** ამ ორის წლის წინად ხმოსანმა ნ. ზ. თუმანიშვილმა წინადადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში მასზედ, რომ ავლაბარში გაიხსნას ცეცხლის მქრობელ რაზმის განყოფილება, რადგან ავლაბარი თითქმის მოწყვეტილია დანარჩენ ქალაქს სიშორისა და აღმართების გამო. ამ საგნის შესახებ ქალაქის თავმა სთხოვა ბ-ნს პოლიცმეისტერს ცნობები, რამდენი კაცი, ან ცხენი და მოწყობილობა დასჭირდება განყოფილების გამართვას და ან რა ეღირებაო. პოლიცმეისტერის ანგარიშით, ამ საქმეს მოუნდება პირველ ხანში ასი თუმანი და წლიური ხარჯი იქმნება ას-ოც თუმნამდე. ხსენებულ ცნობების მიღების შემდეგ, გამგეობას უნდოდა შეეტანა მოხსენება საბჭოში, მაგრამ რადგან ამავე დროს ჩამოვარდა ბაასი მასზედ, რომ ეხლანდელი რაზმი უნდა გადატანილ იქმნას სადმე შუაგულ ადგილს ქალაქისასაო და ამის გამო საბჭომ აირჩია განსაკუთრებული კომისია, ამიტომ ხსენებული საგანი დროებით გადადებულ იქმნა. ეხლა-კი, როდესაც ქალაქი აპირობს დაანარჩუნოს რაზმი დღევანდელსავე ადგილას და ააშენოს მისთვის შესაფერი სახლი, საკითხი ავლაბრის განყოფილებისა კვლავ აღიძრა. გამგეობა აპირებს შეჰკრიბოს ზოგიერთი ცნობები და ამ მოკლე ხანში წარუდგინოს საბჭოს.

*** 8 ამ თვიდამ ქალაქის საბჭოს საქმეთა მწარმოებლის ადგილზე დანიშნულ იქმნა ბ-ნი გ. ზ. ქანანოვი.

*** შინაურ საქმეთა სამინისტრო ამ ზამთარში განიხილავს თურმე საბოლოოდ საერო სარჩენ მალაზიების წესდებას. ორი წელიწადია, რაც ეს წესდება წარდგენილია სახელმწიფო საბჭოში და ეხლა უთუოდ შემოიღებენ მომავალ წლიდან არა თუ მარტო რუსეთის შიდა გუბერნიებში, არამედ კავკასიაში და სხვა ადგილებშიაც, ადგილობრივის ეკონომიურის და ხალხის ყოფა ცხოვრების შესაფერად, საერო მალაზიების თუ საწყობების წესდებას.

*** პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტში სწავლა დაიწყება მომავალ წლის შემოდგომაზედ. ხოლო წესდება მიღებისა ამ ინსტიტუტში გამოცხადებულ იქმნება მარტში, ან აპრილში.

*** ამ ხანებში რუსეთის სატახტო გაზეთებში დაბეჭდილი იყო, თუ რამდენი ვალი მართებს ქალაქების შენობებს რუსეთში. აღმოჩნდა, რომ რუსეთის 287 ქალაქის უძრავ მამულებზედ ამ ჟამად ითვლება 603,700,028 მან. უდიდიდესი ვალი მართებია პეტერბურგის უძრავ მამულებს 188 მილიონ მანათზე მეტი; მერე რიგ რიგად მისდევენ მოსკოვი —143 მილიომი მანათი, ოდესა— 56 მილ. მან., ვარშავა—41 მილ. მან., რიგა—18 მილ. მან., კიევი —17 მილ. მან., ტფილისი 16 მილ. მან., ხოლო ამ შვიდ ქალაქების უძრავ მამულებს ვალი აწევთ 449 მილ. მან., ანუ 80 პროცენტი საერთო ვალისა. ზემოდ ხსენებულის ქალაქების მამულების ვალი აღებულია თურმე საადგილ-მამულო და საკრედიტო ბანკებიდან.

*** კარგა ხანია, რაც კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მოიწადინა, რომ ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ სკოლებთან დაარსდეს განყოფილებანი აბრეშუმის ქსოვისა, მაგრამ ამისათვის საჭირო ფული არსად იყო. ამ კეთილ საქმეს თანაუგრძნო მეურნეობას სამინისტროს რწმუნებულმა კავკასიაში და პეტერბურგში თხოვნა გაგზავნა თავისის მხრივ ამ საქმის შესახებ. მთავრობამ გადასწყვიტა ამ საქმისათვის აძლიოს ყოველ წელს სამს სკოლას 1800 მანათი, ე. ი. თითო სკოლას 600 მანათი წელიწადში.

*** მისი მეუფება სომხის კათალიკოსი მკირტიჩ I დეკემბრის პირველ რიცხვებში ეჩმიაძინიდან გაემგზავრება განჯაში, სადაც დარჩება ორ კვირას, განჯიდან წაბრძანდება ბაქოში და იქიდან ტფილისში ჩამოვა 10 იანვარს დამდეგ წლისას.

*** გამოძიება უკვე გათავდა ნ. ვ. დიასამიძის შესახებ, რომელმაც წელს ბანკის არჩევანების დროს ჯოხი დაჰკრა თ. ვ. მ. თუმანიშვილს. საქმე გადაეცა ოლქის სასამართლოს. იმავე სასამართლოს ნ. დ. დიასამიძემ ორი თხოვნა მისცა: ერთი იმ შინაარსისა, რომ ეს საქმე ოლქის სასამართლოს არ ექვემდებარებაო და მეორე, რომ გამომძიებელმა ახალ მოწმეებს ჩვენება ჩამოართოსო.

ორთავე თხოვნა ოლქის სასამართლომ არ შეიწყნარა. საქმის გარჩევის დღე ჯერ არ არის დანიშნული. («ნოვ. ობოზრ.“)

*** თბილისის საგუბერნიო ადმინისტრაციას მოუთხოვნია მაზრის უფროსებისაგან ცნობები, რამდენი გარდასახადის მიცემა შეუძლიანთ მცხოვრებთ გუბერნიაში. („ნოვ. ობოზრ.“)

*** გაზეთ „ვესტნიკ ვინოდელიაში“ სხვათა შორის სწერია: განსვენებულ თავადებმა ი. კ. მუხრან-ბატონმა და ზ. ა. ჯორჯაძემ დიდი სამსახური გაუწიეს კავკასიას ღვინის კეთების საქმეში. ორთავენი სამხედრო სამსახურში იყვნენ. მერე სამსახურს თავი დაანებეს, და შეუდგნენ ღვინის კეთებას და ეხლა მათის წყალობით კავკასიის ღვინომ დიდი ბაზარი მოიპოვა მთელს რუსეთში“.

*** რუსეთის გამოფენაზე, რომელიც ნიჟნი-ნოვგოროდში იყო, კახურ ღვინოებისათვის მიუციათ ჯილდო შემდეგ პირებისათვის: საუფლის-წულო მამულების გამგეობისათვის; ოგანოვისათვის ვერცხლის მენდალი, ბაბუნიძისათვის, თავ. ანდრონიკაშვილისათვის, როსტომოვისათვის, გრაფ შერემეტევისათვის, ფრიდონოვისა და დიკენსონისათვის, ნიაზიანცისათვის, რიდჩერისათვის თითბრის მედლები, ტერასატუროვისათვის, ვართაზაროვისათვის, ვერმიშევისათვის—საქები ბარათები. როგორც ჩამოთვლილ სიიდანა სჩანს, მომეტებული პირი გამოფენაზე დაჯილდოებული კახური ღვინოებისათვის სულ უცხო ხალხია, ქართველებს-კი მხოლოდ ორს მიუღია ჯილდო. სწორედ საგულისხმო და თან საკვირველი ამბავია, რომ ქართველები იმ საგანშიაც-კი უკან არიან ჩამორჩენილნი, რაშიაც პირველები უნდა ყოფილიყვნენ.

*** ცნობილი ბოროზდინი ამ თვის პირველს გარდაიცვალა პეტერბურგს. ბოროზდინი საქართველოში ჩამოვიდა ვორონცოვის დროს და მაშინვე დანიშნულ იყო სამეგრელოს მთავარის ნიკოლოზ მინგრელსკის გამზრდელად. საქართველოში ბოროზდინმა დაჰყო თოთხმეტი წელიწადი, მერე ისევ რუსეთში გადავიდა და იქ დაიწყო წერა და ბეჭდვა საქართველოზე სხვა-და-სხვა ჟურნალებში. სხვათა შორის მისი წერილები იბეჭდებოდა ყველა სატახტო რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. საქართველოზე დაწერილი აქვს მთელი წიგნი: „მოგონებანი ამიერ კავკასიაზე“.

*** ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა დირექციის განკარგულებით, მომავალ კვირიდგან ტფილისის ყველა სასწავლებლებში, თვეში 2—3 ჯერ გაიმართება «სამაგალითო გაკვეთილები», რომელსაც უნდა დაესწრნენ ხოლმე სამოქალაქო და პირველ დასაწყის სკოლების მასწავლებელნი ქალნი და კაცნი („ტფ. ფურც.“).

*** დღეს, 9 ნოემბერს, ტფილისის საგუბერნიო მმართველობაში

---

ვაჭრების საყურადღებოდ.

## როტშილდები

და

### მათი ვაჭრობა.

### III *)

ინგლისის სახელმწიფო ბანკში ისეთი დიდი წარმოება იყო მაშინაც, რომ ცხრა კასსა და კასსირი იყო საჭირო... ბანკს იმოდენა კლიენტები ჰყავდა, რომ ეს ცხრა კასსირიც ვერ ასწრობდნენ ფულის მიღებას და გაცემას. ნატან როტშილდმა კარგად იცოდა ყოველივე ეს და ბანკზე გაჯავრებულმა აი როგორ იყარა ჯავრი... რაკი ამ ბანკის ასსიგნაციები და ქაღალდები ბლომად შეისყიდა, მეორე დღეს დილის ცხრა საათიდამ რვა თავისი აგენტი თითო-თითო კასსას მიაყენა, თვითონ უფროს კასსირთან მივიდა და წყნარის, თავაზიანის ხმით კასსირს სთხოვა, რომ თქვენი ბანკის ბილეთები მაქვს და ოქროთ დამიხურდავეთო... თან ამოიღებს ძალიან სქელის პორტფელიდგან ერთს 5 თუმნიან ბილეთს... კასსირიც დიდის თავაზით უხურდავებს... ნატანი აძლევს მეორე ბილეთს, კასსირი ახურდავებს ოქროზედ... მესამე... მეოთხე... მესე... მეათასე... რვა აგენტიც ასე მოქმედობს ყველა კასსებთან... გადის ორი საათი... დახურდავდა ერთი მილიონი... ცხრა კაცი, ცხრა კასსასთან, ცხრა ბილეთს აძლევენ—სამაგიეროდ ცხრა კასსირი ცხრაჯერ 5 ოქროს უთვლიან... გადის 5 საათი... არ ათავებენ... უძახიან ბანკის დირექტორებს... რა ამბავია?—კითხულობენ...— არაფერი, ოქრო მჭირია და თქვენ ბილეთებს ვახურდავებ,—უპასუხებს ნატანი...

გათავდა ბანკში მეცადინეობა... ნატანი თავის აგენტებით და დახურდავებულ ოქროთი კასსების დაკეტის შემდეგ მიდის სახლში.

მეორე დღეს ესვე მოხდა... დილიდამ ცხრა კაცი ცხრა კასსას მიადგა... და ახურდავებენ... მთელი ბანკის წარმოება შეჩერდა... სხვა კლიენტებს ვერც ფული შეაქვსთ ბანკში, ვერც გააქვსთ... დახურდავდა 5 მილიონის ღირებული ბილეთები... ინგლისელებს უყვართ უცნაურობა და ყველას მოსწონს ეს ამბავი და იცინიან—მხოლოდ ბანკის დირექტორებს არაფრად ეპიტნავათ ყველაფერი ეს და ეკითხებიან ნატანს, რად შვრებით ამას?.. რატომ ეგრე მოქმედებთო...

— ბანკს არ სურდა ჩემი ვექსილის მიღება და მე რათ დავიტოვებ იმის ასსიგნაციებს და ბილეთებსო. უპასუხებს ნატანი—გაბრთხილებთ-კი, თქვენი ბილეთები იმდენი შევისყიდე, რომ ორ თვეს მოუნდებით იმის დახურდავებასო..

იანგარიშეს დირექტორებმა და გამოვიდა, რომ თუ ეს გასტანს ორ თვეს, ისინი ვერასფერ სხვა საქმეს ვერ გააკეთებენ და 100 მილიონ ოქროს ხელიდამ გაუშვებენ.... იფიქრეს და მეორე დღეს გამოფინეს ბანკის კედელზედ შემდეგი განცხადება „ამიერიდგან ნატან როტშილდის ვექსილი დაუყოვნებლივ მიიღება ნაღდ ფულად!.“

ნატანი მხოლოდ მაშინ ჩამოეცალა... ეს მაგალითი იმის ცხოვრებიდამ გვიჩვენებს, თუ რამდენათ გაზვიადებული იყო.. და ეს გაზვიადება იმიტომ წარმოდგებოდა, რომ იგი მძლავრი იყო, არა თუ მარტო თავის მილიონებით, არამედ ხასიათითაც.

სიბოროტეს, სიავეს ის არავის უზამდა, თუ იმის საქმეების შეფერხებას არ მოინდომებდნენ. თუ კი წინაამდეგი ვინმე გაუჩნდებოდა, იმას აღარ ზოგავდა და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა..... ამისათვისაც მთელს ევროპაში ნატან როტშილდს დაარქვეს სახელად «ნაპოლეონა ბირჟისა». ის მოკვდა 1835 წ. 60 წლისა.

### IV

პარიზის როტშილდი ბარონა ჯემსი.

მაიერის მეორე შვილმა, ნატანის ძმამ ჯემსმა 1812 წელს პარიზში გახსნა თავისი ბანკი. წინეთ ნატანის ცხოვრების აღწერაში ჩვენმა მკითხველმა დაინახა ნათლად, თუ როგორ „კეთდებოდა მილიონები“ და ახლა კი ჩვენ უნდა ავხსნათ, თუ მილიონებს როგორ ადვილად შეუძლიან მილიონები ზედ მიიმატონ!

ჯემსი დასახლდა პარიზში სწორედ იმ დროს, როდესაც ნაპოლეონ დიდი რუსეთთან ომს ამზადებდა. თუმცა გარეგნობით ნაპოლეონის იმპერია წარმოადგენდა ბრწყინვალებას და სიმდიდრით შემკობილს, მაგრამ

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 20.

ეროვნული

სხვათა შორის განირჩევა: 1) შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი შესახებ იმისა, რომ ქალაქში ველოსიპედებსა და ავტომოტიურ ეტლებს გარდასახადი დააწერონ და 2) თხოვნა დუშეთის სამოქალაქო მმართველობისა, რომ ქ. დუშეთში გამართულ იქმნას საქონლის სასაკლაო. („ტფ. ფურც.“).

*** სოფ. ნატოხაო, (სენაკის მაზრა): ეს-ეს არის, გათავდა და მორჩა რთველი. ახლა კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ წელს მოსალოდნელზე მეტი ჭირნახული მოვიდა. ხვნა-თესვის დროს ცუდი ამინდები და გვალვები ხელს უშლიდა მხვნელ-მთესველს, მაგრამ ეხლა ზოგიერთები სარჩოს გარდა კიდევ გასასყიდს ჩამორჩებიან. მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ამ ჟამად სიმინდის ფასი ერთობ დაკლებულია; თუ სიმინდს ბაზარი არ გაეხსნა, ხალხი დიდს გაჭირვებაში ჩავარდება, რადგანაც სხვა საშუალება არა მოეძევება-რა.

ღამის რაინდებმა სწორედ სული და გული შეუწუხეს აქაურებს. იპარავენ ყოველისფერს და უფრო კი ცხენებსა. არავის არაფერი შეარჩინეს-რა. ამ გარემოებამ დიდად დააღონა მცხოვრებნი...

ნოემბერი ცუდის ამინდებით დაგვიდგა. ისეთი სიცივეები დაიჭირა, რომ იანვარს უდრის. ხან სწვიმს და ხან დასავლეთის ცივი ქარი ქრის. ხან კი ცას ყრთობ პირი ჩამოსტირის...

*** ჩვენ გვწერენ ქსნის ხეობიდან: არავინ მოიფიქრებდა, თუ წრევანდელს წვიმიანს გაზაფხულს და ზაფხულს—ხმელი, ქარიანი და ცივი შემოდგომა მოჰყვებოდა. ენკენისთვეს ვერას ვუსაყვედურებთ და ღვინობისთვის მაყურებელნი მადლობასაც ვუძღვნით, იმიტომ რომ ღვინობისთვემ ქრისტიშობისთვიური მკაცრი სიცივე გამოიჩინა და ისეც ზაფხულიდგანვე, ჭირნახულების მოსავალზედ მომდურავთ, წელები დაგვწყვიტა.

ჩვენი ვენახობა მილდიუს და ნაცრისაგან ამოშუშვილი, ზაფხულის ახირებულ წვიმების ზედ დართვით, ახლა ღვინობისთვის რთვლით შეზავებული განადგურდა. თუ ვისმე ახსოვს შარშანდელი ღვინის მოუსავლიანი წელიწადი, რომელსაც უკანასკნელ დღეების დალევის დროს წყევა-კრულვით ქოქოლას აყრიდენ, რომ იგივე წელიწადი კვლავ აღარ დაბრუნებულიყო—ის—წელს დიდის ხვეწნით და ნატვრით მოელის შერისხულს წელიწადს, ისე ნაკლებია ყველაფრით წრევანდელი შარშანდელ წელიწადზედ.

დღიურ სარწყავ სახნავ მიწიდან წელს ათ კოდ ჭირნახულს ვანგარიშობთ და დღიურ ვაზის მოსავლიდან კი ხუთს, ან შვიდ კოკა ტკბილს.

ამ უბედურებას ზედ ისიც დაჰყვა, რომ მომეტებულთ—შარშანდელი ღვინოებიც გაუყიდავი დაგვრჩა, რალაც მანქანებით, რომლის მომსწრენიც ჯერ თითქმის არა ვართ და მცირე მოსავლიდან, თუ რაიმე ღვთის წყალობით მოგვრჩა გასაყიდი ღვინო—უნდა ოხრად მიუწყოთ ჩვენებურ ჩარჩებს, და ამ გვარ ბედის მემორჩილენი, „თათქარიძესაებრ“ ტახტზედ წამოწოლილნი, უნდა ვთვალოთ ჭერში ბუზები, მაშინ, თუ ასეთმა მკაცრმა შემოდგომამ ბოლომდე და ჰყო და თუ ზამთარმაც დათურად მოგვიალერსა...

სწორედ მაშინ ერთად ერთი სახსარი ჩვენის გამორჩენისა — ქალაქში შეშის ზიდვა მოგვესპობა, რადგან ჯერ არ გვივარგა გზები და მერე სიცივის გამო ხარ-კამეჩს არავინ დახოცავს. თუმცა ისე კი არ შევიწროვდება ქსნის მინდვრად მცხოვრები, რომ მოცდენის ფასი მაინც არ გაავდებინოს ზამთარს...

*** ერთი შოტლანდიელი ექიმი, კვარად გარეი, მთელ დღეს ეტლით დადის ერთის ავადმყოფისაგან მეორესთან. გარეის თან მოჰყავს ხოლმე რამდენიმე გაწვრთნილი ტრედი. როცა მძიმე ავადმყოფს შეხვდება, რომელსაც მალე უნდა წამალი, ტრედს ფრთებ ქვეშ რეცეპს მოაბამს და გაუშვებს. ტრედი ექიმის სახლში მივა: მსახური აილებს რეცეპტს, გააკეთებინებს აფთიაქში წამალს და საჩქაროდ მიიტანს ავადმყოფთან. გარდა ამისა, ექიმი მძიმე ავადმყოფთან ერთს ან ორს ტრედს დატოვებს ხოლმე. თუ ავადმყოფი უარესად გახდა, ტრედს გაუშვებენ, ტრედი მივა სახლში და ექიმიც იმ წამსვე გაეშურება ავადმყოფთან.

## პოლიციის მატიანე

—

### საქალაქო

8 ნოემბერს, მეორე პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა მზარაული საკლასიკო გიმნაზიის დირექტორისა გიორგი ჩახუა და სთქვა, რომ სამზარეულოს [illegible] ფანჯრიდან ვიღაც შემოვიდა და გაიტანა ჩემი ჩოხა, ქამარ-ხანჯალი, ყაბალახი და 6 მანათი ფულად; სულ მომპარეს რვა თუმნის ავეჯიო. ქურდებს პოლიცია დაეძებს.

## სასამართლოს მატიანე.

—

7 ნოემბერს ტფილისის 1 განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე ივანე პავლეს ძის სიდამონიძისა, რომელსაც ბრალდებოდა, რომ თავის ცოლს ძლიერ ცუდად ექცეოდა: სცემდა, სტანჯავდა, სახლიდგან აგდებდა და ხანჯლით მოკვლას ემუქრებოდა.

მომრიგებელმა მოსამართლემ სიდამონიძე დამნაშავედ სცნო და ერთის თვით დაპატიმრება მიუსაჯა პოლიციაში.

## ვაჭრების საყურადღებოდ.

### ღვინის მოსავალი საქართველოში.

—

შარშან ღვინის მოსავალი იმერეთში ძალიან მცირე იყო. ვისაც ღვინო ათი საპალნე მოუდიოდა, წელს ხუთიც აღარ მოუვიდა. (საპალნე იმერეთში ათი ჩაფია. ქართლში კი ოცდა-ათი). ყველგან ისმოდა იმერეთში დრტვინვა და სამდურავი ღვინის მოუსვლელობაზე. მაგრამ, მევენახენი არც ისე დაზარალდნენ. სამაგიეროდ ღვინის ფასმა შესამჩნევად აიწია იმერეთში. საპალნე ექვს თუმნამდე ავიდა, განსაკუთრებით წითელი ღვინო ძალიან გაძვირდა.

მთელის იმერეთის ღვინის უმეტესი ნაწილი ბათომში მიდის, შემდეგ ფო-

---

წრევანდელი კი სულ სხვა იყო: თვით ხალხი ძალიან გაღარიბებული დაუხვდა ჯემს როტშილდს, სამი მილიონის ფრანგების მეომარის ძვლებით სხვა-და-სხვა სახელმწიფოს ბრძოლის ველები მოფენილი იყო, სახელმწიფო ხაზინაში არა იყო რა... ყველაფერი ჩანსთქა ნაპოლეონის ურიცხვ ომებმა და მაინც კიდევ რუსეთთან ომს აპირებდა... აპირებდა იმიტომ, რომ—გრძნობდა, თუ გასაოცარი რამ არ მოეხდინა... ტახტს ველარ შეირჩენდა. რადგან ხალხი უკიდურეს მდგომარეობამდი მივიდა და ცოტა არ იყოს—ისპანელებთან ომში შერცხვენილს ნაპოლეონს ის აღარ აღმერთებდა... ნაპოლეონს რუსეთის ძლევა სურდა, სურდა თავის სახელი განემტკიცებინა და მერე დამშვიდებულიყო... მაგრამ ნაპოლეონის ვარსკვლავი ნელ-ნელა ქრებოდა... მაგრამ აქაურ სიცივემ ჴ ყინვებმა იმის დიდ არმიას ბოლო მოუღო. დაბრუნდა ისევ პარიზში დანარჩენის ჯარით და ამის შემდეგ იმის წილის გამართვა აღარ მოხერხდა მით უმეტეს, რომ თითქმის მთელი ევროპა ერთად დაეცა თავს და 1815 ის გადააყენეს ტახტიდამ. მოიწვიეს მეფედ ბურბონების დინასტია, ესე იგი ჩამომავალი წინანდელის საფრანგეთის მეფეებისა.

ნაპოლეონისა და ბურბონების დროს ჯემს როტშილდს არავითარი დიდი საქმე არ შეხვედრია. პირიქით ბურბონების დროს ისეთი გაჯავრებული იყო მეფეზედ და მის ოჯახობაზედ, რომ არავითარ სახელმწიფო სესხებში არ იღებდა მონაწილეობას. ეს გაჯავრება იმისაგან წარმოდგა, რომ იმისი ცოლი სასახლეში არ მიიღეს... „რადგან ეგრეა, მე ერთს გროშსაც არ ვასესხებ მაგათ“! სთქვა ჯემსმა და კიდეც აასრულა თავისი დამუქრება...

1830 წელს ივლისში საფრანგეთში გამეფდა ლუი-ფილიპი... და აი ამ დროდგან იწყება ჯემს როტშილდის ბანკის ძლიერება... ეს მეფობა ძრიელ სასარგებლო იყო, ყველა ბირჟაზედ მოთამაშეებისათვის, რადგან თვითონ ლუი ფილიპი (ძალიან მდიდარი იყო და კიდევ უფრო სურდა გამდიდრება) ვაჭრობდა სხვა-და-სხვა ქაღალდებით ბირჟაზედ... ამ დროს საჭირო იყო მილიონები, რომ ადვილად გეშოვნათ სხვა მილიონები და როტშილდს მაშინ 600 მილიონი თანხა ჰქონდა...

ლუი-ფილიპეს ისე შეუყვარდა ჯემსი, რომ კვირაში ორჯერ მაინც პატიჟებდა სადილათ და თვითონაც ეწვეოდა ხოლმე, როდესაც როტშილდი ნადირობას გამართავდა.

მეფესთან ასე დაახლოვებამ და მისმა სიმდიდრემ ისეთი ძალა მიანიჭა ბარონ ჯემს, რომ მეორე საფრანგეთის მეფეთაც გადაიქცა... გაჯავრებული წინანდელ მეფის დიდკაცობაზედ—ეს აღარავის აღარ ზოგავდა—არც სიტყვით, არც საქმით. არისტოკრატების მტერი იყო, იმიტომ რომ თვითონ დაბალის წოდებიდგან ამაღლებული და გამდიდრებული—ხედვიდა—რომ ყველა ამ სიმდიდრის გამო სცემდა პატივს და არა რამ საკუთარ თვისებისათვის—ამიტომაც მთელი თვისი სიცოცხლე ღარიბ დიდ-კაცების დაცინვაში იყო და ცდილობდა, რომ მათი ღირსება დაემცირებინა. ფულის სათხოვნელად რომ ვინმე გრაფი ან მარკიზი მისულიყო იმასთან—მაშინ განარებული ამ სიტყვებს მიახლიდა: „ააა, გაკოტრდით, შესჭამეთ მამული, აღარაფერი გაქვსთ განა?—ძალიან მოხარული ვარ, ძალიან!.... მაგრამ მე თქვენისთანა უქმი მჭამელებისათვის ფულები არ მაქვს... თუ გნებავსთ, მე თქვენ საქმეს გიშოვნით და ფული მაშინ იშოვნება.... წადით ჩემ აგენტად ბელგიაში, ინგლისში ან ავსტრიაში—თუ გამომადგებით და ჩემს საქმეს კარგათ გაუძღვებით — თუ იმუშავებთ, ისევ გაგამდიდრებთ!.. თორემ მე გადასაყრელი ფულები არა მაქვს, არა!“

რაც დრო მიდიოდა, ჯემსი უფრო ძლიერდებოდა.. მინისტრებს და სახელმწიფო კაცებს თვითონ არჩევდა და გადააყენებდა.. პალატის დეპუტატები თითქმის ყველა ხელში ჰყავდა—ასე რომ, მთელ სახელმწიფოს კანონ-მდებლობაზედაც დიდი გავლენა ჰქონდა... ამ გვარ მდიერებით იმან მიაღწია 1848 წლამდის, როდესაც პარიზში რევოლიუცია მოხდა ჴ რესპუბლიკა დაარსდა...

(შემდეგი იქნება)

თში, სამტრედიაში და თვით ქუთაისშივე იხარჯება. ეს ქალაქები ასაღებენ მთელ იმერეთის ღვინოს. ბათუმში მაინც აყარებული ღვინო მიდის და სწორედ ბათუმში აიწია შარშან ღვინის ფასმა. იმერეთში რომ ღვინო გაძვირდა, რუსეთის ღვინო წყალის ფასად იყიდებოდა. ვედრა არ აიწევდა, რაც უნდა კარგის ხარისხის ყოფილიყო, 1 მანეთზედ მეტს. რუსეთის ღვინომ ბათომში დასწია ფასი იმერეთის ღვინისა, თუმც ძლიერ შესამჩნევად კი არა. ხოლო რუსეთიდგან მოდიოდა შეკეთებული და შეზავებული ღვინო, და ამიტომ მალე ფუჭდებოდა, და, არც დიდი ბაზარი ჰქონდა. ღვინის მოვაჭრები მალე დაუფრთხნენ რუსეთის ღვინოს და ისევ იმერეთის ღვინოს მიმართეს. მაგრამ იმერეთში ღვინო აღარ იშოვებოდა, და ვაჭრებმა განჯას, ერევანს, ქურდამარს, მატრასიას და სხვა ადგილებს მიმართეს, სადაც კი ცოტა ხეირიანი ღვინო დგება, მაგრამ ყველგან შესამჩნევად გაძვირებული იყო. კახეთის ღვინოს ხომ ვერავინ წაეკარებოდა საყიდლად.

ამასთანავე უნდა სიმართლე ვსთქვათ, რომ ბათუმში მომეტებული ნაწილი მალიან კარგი ხარისხის ღვინო მოდის სულ და არ იყიდება. როგორც ზემოთა ვსთქვით, ღვინო გაძვირებული იყო ყველგან, და რასაკვირველია, ბათუმშიაც იგივე იქნებოდა და ამიტომ იქ ვაჭრობა ძლიერ დაეცა. მაშინ, როდესაც აყარებული ღვინო მიდიოდა რუსეთში, დღეს წვეთსაც აღარ თხოულობდნენ და სამაგიეროდ რუსეთიდგან აქეთ ჰგზავნიდნენ. იმედი მხოლოდ წლევანდელს მოსავალზედ იყო, მაგრამ აქაც გვიმტყუნა ბედმა. იმერეთში წრეულს მალიან ცოტა მოიშოება ღვინო და ისიც მალიან ძვირათ ფასობს. საშალონე ახალი ღვინისა მაჭარი—43 მანეთამდე ადის, რადგანაც წრეულს შარშანდელის მესამედიც არ მოვიდა. საუკეთესო ადაგები სეტყვამ წაახდინა: ივრიგვალითი, საქრა, ფუთი, ღვრაკი და სხვა დანარჩენ ადგილებში თუმცა სეტყვა არ ყოფილა, მაგრამ, ზოგი ფილოქსერას წყალობით, ზოგი თვით ნაიდაგის უვარგისობით ღვინის მოსავალი მალიან მცირე იყო.

აი ფასიც ზოგიერთ ადგილებში რუსეთის ახალ ღვინისა:

ბესსარაბიის ღვინო საუკეთესო ხარისხის (ჩვენი საშუალო სჯობია) ვედრა—4 მანეთი. იმავე ალაგას ღვინო ფრანგული—ლერწიდგან 5 მან, „ადესა" (იზაბელასი) ღვინო საუკეთესო ხარისხ. (ჩვენი მალიან დაბალი სჯობია) 4 მან., 50 კ. იალტის ღვინო საუკეთესო ხარისხ. 4 მან. 50 კ. ყირიმის ღვინო საუკეთესო 3 მან.

ყველა ზემო დასახელებული ღვინო ადგილზევე ამ ფასად.

ჩვენებური ღვინის ფასები:

კახეთის ღვინო საუკეთესო ხარისხ. 6—8 მანეთამდე. იმერეთის ღვინო საუკეთესო ხარისხ. 4 მან. განჯის (ადგილზე) 2 მ. 80 კ. ერევნის ღვინო 3 მან. 20 კ. მატრასიისა 3 მან. 50 კ. აფხაზეთის ღვინო 2 მან. მაგრამ ეს უკანასკნელი სასმელად მალიან ნაკლებია.

როგორც დღეს სჩანს, ღვინის ფასი კიდევ მალიან აიწევს, რასაც ამტკიცებს წრევანდელი მოსავალი საქართველოში და რუსეთშიაც.

---

## გამოსადეგი ცნობა
### მეურნეობაში.

რაღა თქმა უნდა, რომ სეტყვა ძლიერ დიდს ზარალს აძლევს ხოლმე სოფლის მეურნეთ. ერთს მემამულეს ბ-ნს იედკოს თავის მამულში ერთი სულ უბრალო ღონის-ძიება უხმარია, რომ თავის მამულს სეტყვა აცდინოს და აი ბოლოს, აგერ 30 წელიწადია, რაც ჩემ მამულში სეტყვა არ მოსულა, გარშემო მდებარე ადგილებში-კი ჭირნახული მრავალჯერ დასეტყვილაო. ამიტომ მეტად საჭიროდ მივიჩნიეთ ავწეროთ ის უბრალო საშუალება, რომლისთვისაც მიუმართავს ბ-ნს იედკოს და მივაქციოთ მას ყურადღება ჩვენის მემამულეებისა, რათა იმათაც გამოსცადონ და დარწმუნდნენ, თუ მართლა რამდენად სასარგებლოა ეს ღონისძიება.

ამ საქმისათვის საჭიროა მხოლოდ: 1) სარი, ასე 15—20 არშინის სიგრძე. 2) რეზინი, ბოჩკიდგან ღვინის გადასასხმელად რომ ხმარობენ; 3) ყარანდაშის ოდენა, წვეტიანი და ნიკელით დაფერილი თითბერი; 4) ცინკის ფიცარი, ზომით ოთხ-კუთხივ ერთი ფუტი; და 5) ჩალის ბაწარი. (ამ რიგად უნდა გაკეთდეს. აიღეთ კანაფის ძაფი და ზედ დაახვიეთ ჩალა, ისე რომ კანაფი სულ ერთიანად ჩალით იყოს დაფარული).

სარის ზემო წვერზედ რეზინით მიამაგრეთ წვეტიანი თითბერი, ამ თითბერს მოაბით ერთი წვერი ჩალის ბაწრისა, თვით სარი მიწაში ჩასვით, ბაწრის მეორე წვერს მოაბით ცინკის ფიცარი და ეს ფიცარი მიწაში ჩამარხეთ, სარისაგან ნახევარ არშინის სიშორეზედ. ამ გვარი სარი ორის დღიურის ადგილზედ ხუთი ან ექვსია საჭირო ერთმანერთზე მოშორებით.

---

## საკალენდარო ცნობა

ნოემბერი

9 შაბ. მოწ. ონისიფორესი, და პორფილესი, ანტონისა, ალექსანდრესი, ღირს მატრონასი.

---

## ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი №1 გადის დილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დილით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს, 21 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ; მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.


# განცხადებანი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

მოიკითხეთ შემდეგი წიგნები,

შედგენილი და ანუ გამოცემული

მ. ჯანაშვილის—მიერ.

ა) შოთა რუსთაველი, . . ფ. 40 კ.
ბ) ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი . . . „ 40 კ.
გ) მ. ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი. . . . „ 10 კ.
დ) ისტორია მართმადიდებელ ეკკლესიისა . . . . „ 40 კ.
ე) გეოგრაფია ქართლისა (შედგ. ვახუშტის მიერ). „ 25 კ.
ვ) სამცხოსა (მისივე) . . . „ 25 კ.
ზ) ათასერთი ღამე (თარგმანი) „ 40 კ.
ჱ) მწერლობა მეათე საუკუნისა „ 40 კ.
თ) საუნჯე მეათე საუკუნისა „ 20 კ.
ი) საქართველოს ისტორია „ 70 კ.
ია) ალვადგინე . . . . . . „ 30 კ.

(4—3)

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА

## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ"

(тринадцатый годъ изданія).

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

| | | | |
|---|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ | 10 р. — к. | На 6 мѣсяцевъ | 6 р.—к. |
| „ 11 „ | 9 „ 50 „ | „ 5 „ | 5 „ 25 „ |
| „ 10 „ | 8 „ 75 „ | „ 4 „ | 4 „ 75 „ |
| „ 9 „ | 8 „ — „ | „ 3 „ | 3 „ 50 „ |
| „ 8 „ | 7 „ 25 „ | „ 2 „ | 2 „ 75 „ |
| „ 7 „ | 6 „ 50 „ | „ 1 „ | 1 „ 50 „ |

За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на три мѣсяца—5 ра
Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяц..

Для годовыхъ подписчиковъ какъ городскихъ, такъ и иногородныхъ обращающихся непосредственно въ контору редакціи, ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р. Для сельскихъ учителей и благотворительныхъ учрежденій ПЛАТА ПОНИЖЕННАЯ—7 Р. ВЪ ГОДЪ.

Подписка и объявленія принимаютс яВЪ ТИФЛИСѢ: въ конторѣ газеты—Барятинская ул., № 8. Иногородные адресуютъ свои требованія: Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія„.

РОЗНИЧНАЯ ПРОДАЖА газ. „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ„ производится:авъ Петербургѣ—въ книжномъ магазинѣ ЛЕДЕРЛЕ, Невскій просп., № 42, д. рмянской церкви; въ Москвѣ—въ книжномъ магазинѣ КАРБАСНИКОВА, Моховая улица; въ книжнихъ шкапахъ станцій ростово-владикавк. жел. дороги: Владикавказъ, Бесланъ, Тихорѣцкая и Ростовъ,

(6—3)

ВЪ ТИФЛИСѢ ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1897 годъ
НА АРМЯНСКУЮ ЕЖЕДНЕВНУЮ
политико-литературную газету

## „НОРЪ-ДАРЪ"

*(четырнадцатый годъ изданія).*

Газета „Норъ-Даръ" въ 1897 году будетъ выходить по прежней программѣ.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА**: съ пересылкою и доставкою по Россійской имперіи: на годъ—10 руб., на полгода—6 руб., на три мѣсяца—3 руб. 50 к.; заграницу на годъ 40 франковъ.

Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

**ПОДПИСКА** принимается исключительно въ конторѣ газеты „Норъ-Даръ" въ Тифлисѣ, на Лорисъ-Меликовской улицѣ, домъ № 19.

**ОБЪЯВЛЕНІЯ** принимаются на всѣхъ языкахъ по умѣренной платѣ въ Тифлисѣ—въ конторѣ газеты и въ Москвѣ—въ Центральной конторѣ объявленій Л. и Э. Метцль и К°., Мясницкая, д. Спиридонова. Адресъ: *Тифлисъ, въ редакцію* „Норъ-Даръ".

За редактора **Минасъ Берберянъ.**

Издатель **Спандаръ Спандарьянъ.** (4—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 8-го Ноября, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია